FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

მიხეილ ზაქარეიშვილის ისტორია

მიხეილ ზაქარეიშვილი განათლებით იურისტია. ამჟამად, ის სპორტული ჟურნალისტია, საიტზე BARCAMANIA.GE. მას ბრალად ედება წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, პოლიციელის შეურაცხყოფა. მიხეილი, 2024 წლის 30 ნოემბერს თბილისში დააკავეს, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე, სადაც ის "ქართული ოცნების" ანტიევროპული კურსის აპროტესტებდა. ზაქარეიშვილი აქციაზე მეგობარ გოგონასთან ერთად იმყოფებოდა, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ სახლში გააცილა და უკან, აქციაზე დაბრუნდა. ის დაბრუნებიდან დაახლოებით ნახევარ საათში დააკავეს. აქციაზე გარემო იყო მშვიდი, თითქმის არაფერი ხდებოდა მშვიდობიანი შეკრების გარდა. მოულოდნელად, აქციის მონაწილეების მიმართულებით დაიძრნენ ე.წ. „რობოკოპები", რომლებმაც ალყაში მოაქციეს მოქალაქეები, მიხეილს ჯერ ურტყამდნენ, აგინებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ემოძრავა. ცემის შედეგად მან თვალის არეში დაზიანება მიიღო. შემდეგ დაიწყეს აქციის მონაწილეების უმიზეზოდ დაკავება. უკანონო დაკავების დროს აგინებდნენ და აყენებდნენ შეურაცხყოფას, იძულების წესით მოათავსეს დაკავების მიკროავტობუსში ,რომელსაც არც ფანჯრები და სკამები ჰქონდა და არც რაიმე ნიშანი, რომ ნამდვილად პოლიციის იყო.

დაკავების მიკროავტობუსში, მიხეილი 11 დაკავებულთან ერთად აღმოჩნდა. მიკროავტობუსში ფიზიკურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია, თუმცა იყო გამუდმებითი მუქარა და ფსიქოლოგიური ძალადობა - „ნუ ლაპარაკობთ, ხომ არ გინდათ დაგიმატოთ" - ამ და სხვა მსგავსი მუქარის სიტყვებით მიმართავდნენ პოლიციელები დაკავებულებს. იმის გამო, რომ დაკავების მიკროავტობუსს არ ჰქონდა ფანჯრები და სკამები, ხოლო კარი, ერთი საათის განმავლობაში დახურულ მდგომარეობაში იყო გაჩერებული, მიხეილთან ერთად ერთ-ერთ დაკავებულ პირს, რომელსაც ასთმა ჰქონდა, ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა.

1 საათის შემდეგ, პოლიციის მიკროავტობუსი მოვიდა და დაკავებულები კახეთის გზატკეცილზე, საპატრულო პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც კიდევ ერთი საათი იყვნენ გაჩერებული საპატრულო პოლიციის ავტოფარეხში. აღსანიშნავია, რომ პატრულის ერთ-ერთი თანამშრომელი გამოირჩეოდა აგრესიით და დასცინოდა ავტომობილში მყოფებს: „რა სუნია მანქანაში, ვიღაცამ შიშით ჩაიფსაო“. განყოფილებაში ზაქარეიშვილს დაკავების შესახებ დეტალები გამოჰკითხეს და გურჯაანის იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც მან 48 საათი დაჰყო.

მიხეილი, დაკავების დროს იყო ნაცემი, მას ცემის შედეგად, დაზიანება მიღებული ჰქონდა თვალის არეში. დაზარალებულს ჩაუტარდა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერება, რასაც სამედიცინო რეაგირება არ მოჰყოლია.

მიხეილ ზაქარეიშვილის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების საფუძველზე. მისი საქმე განიხილა მოსამართლე ნინო ენუქიძემ. დაზარალებულის საქმეზე, ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო მიხეილის რეალური დამკავებელი, რადგან ის ე.წ “რობოკოპებმა” დააკავეს და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შემდეგ გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი პოლიციელი, ილია კენჭაშვილი, სასამართლო პროცესზე დასმულ შეკითხვებს პრაქტიკულად ვერ პასუხობდა, მეტიც, მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რა ხდებოდა იმ ღამეს რუსთაველის გამზირზე და როდესაც პოლიციელმა მიხეილისგან გაიგო, რომ ბარიკადები იყო აღმართული, მას მოსამართლისგან იმის განმარტება დასჭირდა, თუ რას ნიშნავდა სიტყვა “ბარიკადი”.

საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი ობიექტური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დაკავებულის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას. მოსამართლემ მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე მიხეილ ზაქარეიშვილი სამართალდამრღვევად სცნო და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 2100₾-ის ოდენობით.

არსებული ინფორმაციით, სამსახურეობრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, მიხეილ ზაქარეიშვილი გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. ნივთმტკიცების სახით, დეკემბრის შუა რიცხვებში მათვე ჩაებარაა სისხლიანი აირწინაღი და ქურთუკი. საგამოძიებო უწყებიდან სხვა მოქმედებების განხორციელების შესახებ მიხეილისთვის ცნობილი არ არის.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიხეილისთვის დაზარალებულის სტატუსი არ მიუნიჭებია.